

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N8

ქ.თბილისი

18 მარტი, 2022 წელი  
16<sup>00</sup>საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	აკაკი ალადაშვილი
ლევან არველაძე	ვლადიმერ ბოჭაძე
საბა ბუაძე	ანა გოგოლაძე
ოთარ გრიგოლია	მამუკა გუგეშაშვილი
ლევან დავითაშვილი	ნინო ვარდოსანიძე
მარიამ ზაქარიაშვილი	ზაზა თავაძე
ანა კაკაბაძე	მიხეილ კაკაურიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე	ნინო კვიციანიშვილი
სალომე კობალაძე	ცოტნე კობერიძე
კახაბერ ლაბუჩიძე	ლილე ლიპარტელიანი
ნათია მოდებაძე	შალვა ოგბაძე
გიორგი ონიანი	გურამ ოქროპირიძე
ლევან ჟორჟოლიანი	ალექსანდრე რატიშვილი
ნინო რუხაძე	რევაზ სოხაძე
ვახტანგ სურგულაძე	დავით ფარცვანია
გიორგი შარაშიძე	გიორგი ჩაკვეტაძე
ზურაბ ჩიკვილაძე	გივი ჩხარტიშვილი
ირაკლი ხელაძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე	ბარბარა ჯიმელი სულაშვილი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსი ნუგზარ ჭონქაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უფროსი კახაბერ გვანცელაძე;

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელი ვახტანგ მაჩიტაძე.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. ისაუბრა უკრაინაში მიმდინარე ომზე და არსებულ უმძიმეს ვითარებაზე, აღნიშნა, რომ ახლახანს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გარდაიცვალა ორი ქართველი მებრძოლი და მიმართა საკრებულოს წევრებს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ ამ დღეების განმავლობაში, ომში გარდაცვლილების ხსოვნისთვის, რის შემდეგაც სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ, წუთიერი დუმილით, პატივი მიაგო უკრაინაში მიმდინარე ომში გარდაცვლილების ხსოვნას.

ვლადიმერ ბოჟაძემ საქართველოს მოსახლეობის და ხელისუფლების სახელით, მხარდაჭერა გამოუცხადა უკრაინელებს, განაცხადა, რომ საქართველომ, ყველა საერთაშორისო პლატფორმაზე, ღიად დაუჭირა მხარი უკრაინას და მათი დახმარების პროცესში ჩართულია არა მხოლოდ დედაქალაქი, არამედ ყველა მუნიციპალიტეტი. ვლადიმერ ბოჟაძის თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ომის დაწყებიდან, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა როგორმე ჩაერთოს ღია ომში რუსეთთან, ითხოვს სანქციების დაწესებას მაშინ, როდესაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, შემოიღო რუსეთთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, არაერთი ენერგეტიკული სტრატეგიული ობიექტი გადასცა მათ და ზოგადად, მაშინდელი ხელისუფლება ღია იყო, როგორც რუსი ტურისტებისთვის, ასევე, რუსული ინვესტიციებისთვის. განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობის გარდა, ბოლო თვეებია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ძირს უთხრიან სახელმწიფოს, ეწვეიან მოღალატეობრივ საქმიანობას და მიმართა მათ - „დაანებეთ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სახელმწიფოს, მტრობას თავი“. საუბრის ბოლოს, ვლადიმერ ბოჟაძემ მშვიდობა და წარმატებები უსურვა უკრაინას და საქართველოს.

ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ საქართველოსა და უკრაინას ერთმანეთთან აკავშირებს მრავალწლიანი მეგობრობა და ურთიერთთანამშრომლობა, საქართველო ყოველთვის მხარს უჭერდა უკრაინის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას და ასე გაგრძელდება მომავალშიც. აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში, რუსული აგრესიის შედეგად უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, ჩვენმა ქვეყანამ საერთაშორისო ასპარეზზე, არაერთხელ გამოხატა სოლიდარობა, თანადგომა და პოლიტიკური მხარდაჭერა უკრაინისადმი. ისაუბრა საქართველოს მიერ ამ მიმართულებით გადადგმულ ქმედით ნაბიჯებზე და განაცხადა, რომ „საქართველოს პოზიცია არის ურყევი, ჩვენ გავაკეთებთ მაქსიმუმს უკრაინელი ხალხის დასახმარებლად და ბოლომდე დავდგებით ჩვენი მეგობარი ერის გვერდით.“ მისი თქმით, ძალიან სამწუხარო და მიუღებელია, რომ ასეთ რთულ ვითარებაშიც კი ზოგიერთი „ფსევდო პოლიტიკოსი“, საქართველოსა და უკრაინას შორის მრავალწლიანი პარტნიორობისა და ჩვენი ქვეყნის დასავლური ღირებულებების ეჭვქვეშ დაყენებით, ცდილობს საზოგადოებაში გამოიწვიოს დაპირისპირება და ოპონენტების მისამართით განაცხადა: „ერთხელ მაინც დააყენონ ქვეყნის ინტერესები პირად სარგებელზე მაღლა, რადგან ახლა ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტაბილურობა, საქართველოს თითოეული მოქალაქის გაერთიანება საერთო მიზნის ირგვლივ. ვაქციოთ საქართველო ძლიერ, განვითარებულ, ევროპულ სახელმწიფოდ“.

ირაკლი ხელაძემ მხარდაჭერა და სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს, განაცხადა, რომ გმირობის ტოლფასია ის ყველაფერი, რასაც უკრაინელები აკეთებენ საკუთარი ქვეყნის დასაცავად და იმედი გამოთქვა, რომ მათი თავგანწირვა უკვალოდ არ ჩაივლის და გამარჯვებულები გამოვლენ ამ უთანასწორო ბრძოლიდან. მისი თქმით, ჩვენ არაერთხელ განგვიცდია და გადაგვიტანია ის მძიმე ტკივილი, რაც საომარ მოქმედებებს ახლავს და ჩვენზე უკეთ არავინ იცის, რას ნიშნავს რუსული აგრესია, ოკუპაცია და მშვიდობიანი მოქალაქეების დაკარგვა. ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ ომის დაწყების პირველივე დღიდან, საქართველოს ხელისუფლება, ქართველ ხალხთან ერთად, ყველა დონეზე, მათ შორის, საერთაშორისო დიპლომატიურ ფორმატებში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მხარდაჭერით და ძალიან საჭირო ჰუმანიტარულ აქციებში ჩართვით, მხარს უჭერს უკრაინას და უკრაინელ ხალხს. ხოლო, „რადიკალური ოპოზიცია“ უკრაინაში მიმდინარე ომს იყენებს

შესაძლებლობად, რომ საკუთარ ქვეყანაში მაქსიმალურად დამაბოს სიტუაცია. მისი თქმით, დღევანდელ ხელისუფლებას, სახელმწიფო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიტიკას უწუნებენ იმ პარტიის წარმომადგენლები, რომლის ხელისუფლებაში ყოფნისას, 2008 წლის ომის შემდეგ, ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტები გაიყიდა რუსებზე, დაწესდა სხვადასხვა ტიპის შეღავათები, მათ შორის, რუსეთთან მიმოსვლასთან დაკავშირებით. საუბრის ბოლოს, ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ დღეს, თითოეული მოქალაქის ინტერესი უნდა იყოს, არ გადავდგათ ჩვენი ქვეყნისთვის დამაზიანებელი ნაბიჯები და მაქსიმალურად ვეცადოთ, შევინარჩუნოთ მშვიდობიანი და სტაბილური გარემო.

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ საკრებულოს სამსახურებრივ ავტომობილებზე აყენია რუსული წარმოების საბურავები, წარწერით „რასია“ და ამ ფაქტს „საკრებულოს სირცხვილი“ უწოდა ისევე, როგორც იმ ფაქტს, რომ თბილისის მერია მეტროს ვაგონების შესყიდვას აპირებდა რუსული კომპანიისგან. აქვე, აღნიშნა, რომ დასავლეთმა რუსეთს უწოდა „ბოროტების იმპერია“ და ყველაფერს აკეთებს მისი იზოლაციისთვის, თუმცა, მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის 20% ოკუპირებულია და ეს ბრძოლა ყველაზე მეტად ჩვენ გვეხება, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებენ ყოვლად მიუღებელ განცხადებებს და ისე იქცევიან, რომ ჩვენმა მთავარმა სტრატეგიულმა პარტნიორმა, კელი დეგნანმა განაცხადა: „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც არ დაემორჩილება საერთაშორისო საქმეებს, პასუხს აგებს“.

გიორგი ჩაკვეტაძემ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და განაცხადა, რომ სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლაში გაიმარჯვებს სიკეთე და ევროპის კონტინენტზე გაგრძელდება მშვიდობიანი განვითარება. მისი თქმით, მძიმეა უყურო კადრებს, თუ როგორ ბომბავს რუსეთის ფედერაცია უდანაშაულო ადამიანებს, სამოქალაქო ინფრასტრუქტურას, სკოლებს და ყველა იმ ობიექტს, სადაც მყოფი ადამიანები არაფერ კავშირში არიან კონფლიქტთან. მისი თქმით, რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო ესკალაცია და აგრესია არის შუა საუკუნეების ბრუტალური ბრძოლის მეთოდები, რაც მიუღებელია. საქართველოში, ბოლო წლებში, გვერნდა ბევრი კონფლიქტი, დროებით დაგვარგეთ ტერიტორიები და თაობებმა თავი შეწირეს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო, მოსულიყო დღევანდელ დღემდე. მისი თქმით, სწორედ თავისუფლების და ევროპული არჩევანის გამოხატულება იყო 3 მარტს ევროკავშირში გაგზავნილი ისტორიული დოკუმენტი და გულდასაწყვეტია, რომ ამ ისტორიული დოკუმენტისთვის ჩრდილის მიყენება გადაწყვიტა ოპოზიციის ნაწილმა, რომელთა პარტიამაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები და ეკონომიკის დიდი ნაწილი ჩააბარა რუსეთს. საუბრის ბოლოს, გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ დღევანდელი ხელისუფლება მხარდაჭერას უცხადებს უკრაინას, ეხმარება ყველანაირად და დგას უკრაინელი ხალხის გვერდით.

ნინო კვიციანიშვილმა მწუხარება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ რამდენიმე წუთით დაავიანდა საკრებულოს სხდომათა დარბაზში შემოსვლა, რის გამოც წუთიერი დუმილით პატივი ვერ მიაგო უკრაინის ომში გარდაცვლილების ხსოვნას და განაცხადა, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრების მიერ გაკეთებული განცხადებები, სხდომათა დარბაზში დალაგებულ უკრაინულ დროშებთან ერთად, „მხოლოდ ფასადური მხარეა“. მან, თბილისის საკრებულოს ერთ-ერთი დეპუტატის, „ქართული ოცნების“ გუნდის წევრის მიერ დავით არახამიას მისამართით გაკეთებული განცხადებას „ზურგში ლახვრის ჩარტყმა“ უწოდა და განაცხადა, რომ დავით არახამია არის 12 წლიდან დევნილობაში აღზრდილი ადამიანი, რომელმაც გაირა ცხოვრების უმძიმესი წლები, გახდა ორმოცდაათმილიონიანი ქვეყნის წარმატებული ლიდერი და დღეს, მთავარ ოკუპანტთან და მტერთან ერთ-ერთი მთავარი მომლაპარაკებელია. მისი თქმით, მიუღებელია ასეთ ადამიანს, უშუალოდ მოლაპარაკების პროცესის წარმოებისას, მიაყენო შეურაცხყოფა და დააკნინო მისი პოლიტიკური როლი და თუ კონსტანტინე ზარნაძეს არ შეუძლია ისეთივე გმირული ქცევა, როგორც იქცევა არახამია, მინიმუმ უნდა გაჩუმდეს მაინც. ნინო კვიციანიშვილის თქმით, ელემენტარული პოლიტიკორექტულობის საკითხია, რომ

ასეთი მძიმე მოლაპარაკებების პროცესში მანაც „არ იკადროს ადამიანმა და ზურგში ლახვარი არ ჩაართყას თავისივე, ასე ვთქვათ, ფსევდო, მაგრამ აღიარებულ მეგობარს და თუ უკრაინა მეგობარია, მეგობარს ზურგიდან არ ეპარებიან ხელში ლახვრით“.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ მკაფიოა „ქართული ოცნება“ ხვდება, რომ საკუთარი ამომრჩევლისთვისაც მტკივნეულია პროდასავლურობის და პრორუსულობის საკითხი და ამიტომ, როგორც კი დრო ჩაუვარდება, ცდილობს საკითხი გადაიყვანოს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის დაპირისპირებაში. მისი თქმით, ეს სასაცილოა, რადგან აქციებზე იდგნენ ახალგაზრდები, რომლებიც 2008 წელს სკოლაში დადიოდნენ და არანაირი კავშირი არ აქვთ არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან და საკრებულოს უმრავლესობის წევრები, საკითხის პარტიულ დისკუსიაში გადატანით, შეურაცხყოფას აყენებენ მათ. სასაცილო და სირცხვილია თავის მოწონება და სიამაყე იმით, რომ უკრაინის დროშის ფერებში გავანათეთ ანძა და სახელმწიფომ, უკრაინელების დასახმარებლად გადარიცხა მილიონი ლარი. ასევე, სირცხვილია საქართველოს ხელისუფლების ქმედებები, რომლებშიც ჩანს მათი სიმბადა და შაშა და ამას ქართველი ერი არ აიტანს, რადგან „ქართველს მტრის არ ეშინია“. მისი თმით, ხელისუფლების წარმომადგენლებმა პასუხი უნდა გასცენ იმ ათიათასობით ახალგაზრდას, რომლებიც ყოველგვარი პარტიული ორგანიზების გარეშე გავიდნენ აქციაზე, დაიბადნენ და გაიზარდნენ დამოუკიდებელ საქართველოში და საერთოდ არ აინტერესებთ ვინ რას აკეთებდა 2008 წელს.

გურამ ოქროპირიძემ მიუსამიძრა უკრაინაში გარდაცვლილი ადამიანების ოჯახების წევრებს და თავისუფლება, გამძლეობა და გამარჯვება უსურვა „ბოროტების იმპერიასთან“ მეზრძოლ უკრაინელ ხალხს. განაცხადა, რომ რუსულმა აგრესიამ გაანადგურა უამრავი ადამიანის სიცოცხლე, მიწასთან გაასწორა ათასობით საცხოვრებელი სახლი, ასობით ათასი ადამიანი აქცია დევნილად და აუცილებლად დადგება დღე, როდესაც ამ სახელმწიფოს მოუწევს ყველაფრის ანაზღაურება. მისი თქმით, ძალიან მძიმე სანახავია რუსული პროპაგანდისტული ნარატივის ტირაჟირება „ალტ-ინფოს“ მსგავსი პოლიტიკური თუ მედია ჯგუფებისგან და აღნიშნა, რომ ქართველმა ერმა ძალიან დიდი ხნის წინ, მკაფიოდ და ცალსახად აირჩია დასავლური კურსი, რასაც ქართველი ხალხის გარდა, ვერავინ შეცვლის. განაცხადა, რომ წინა ხელისუფლების დროს, საქართველოს მხრიდან „სამარცხვინო რეზოლუციის“ ხელმოწერით ქვეყანას დაბრალდა ის, რაც არ გაუკეთებია და 2008 წლის ომის შემდეგ, არაერთი სტრატეგიული ობიექტი გადაეცა რუსულ კომპანიებს, ხოლო დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან ევროკავშირისა და ნატოსკენ გადადგმული შინაარსობრივი ნაბიჯები დადებითად აღიქმება, როგორც საზოგადოების მხრიდან, ასევე, საერთაშორისო კვლევების შეფასებით. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ მიუღებელია დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესში ვინმემ იფიქროს ვიწრო პარტიულ ინტერესებზე, საზოგადოება დაიღალა დაუსრულებელი დემაგოგიით და პოლიტიკური შოუებით პროვოცირებული დაპირისპირების ყურებით და უმჯობესი იქნება, საკრებულოს წევრებმა მეტი დრო დავეთმოთ იმ საქმის კეთებას, რისთვისაც არჩეულია თითოეული მათგანი.

მამუკა გუგუშაშვილმა გამოსვლა დაიწყო მისალმებით: „დიდება უკრაინას, დიდება უკრაინელ ხალხს, დიდება საქართველოს და ყველა იმ გმირს, ვინც დღეს იბრძვის“. გამოეხმაურა გურამ ოქროპირიძის კომენტარს და განაცხადა, რომ ხალხი ნამდვილად დაიღალა ერთი და იგივეს მოსმენით და წარსულზე საუბრით. მისი თქმით, ფაქტები ცხადყოფს ყველაფერს, მათ შორის, გუშინდელი ფაქტი, როდესაც პრეზიდენტ ზელენსკის სურდა საქართველოს პარლამენტში ჩართვა, თუმცა პარლამენტის თავმჯდომარისგან მიიღო პასუხი, რომ უნდა ესაუბრა მხოლოდ ქართულად, ცხადყოფს, რომ „ქართულ ოცნებას“ ეშინია, რადგან ფიქრობს, რომ თუ ამ ომში გაიმარჯვებს რუსეთი, მიესალმებიან პუტინის მიერ ხელდასმულ პრეზიდენტს. მისი თქმით, „ქართული ოცნება“, პირველ რიგში, უნდა მიესალმოს პრეზიდენტ ზელენსკის და უკრაინელ გმირს ხალხს, რომელმაც მსოფლიოს დაანახა პუტინის ნამდვილი სახე და ის, თუ ვინ არის მსოფლიოს ნამდვილი მტერი. მამუკა გუგუშაშვილმა განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი თავს არიდებს იმაზე საუბარს, თუ ვინ დაიწყო

რუსეთ-უკრაინის ომი, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები იბრძვიან რუსეთ-უკრაინის ომში, „ქართული ოცნების“ გუნდის წევრებისგან უხერხულია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაზე“ საუბარი. მისი თქმით, დღევანდელ ხელისუფლებას მესამე პრეზიდენტი შემოეპარა ქვეყანაში, მეოთხე პრეზიდენტი გაეპარა ოპოზიციაში, მეხუთე პრეზიდენტი დაუკითხავად წავიდა ევროპაში და უამრავი მათ მიერ მხარდაჭერილი ადამიანი, მათ შორის ყოფილი პრემიერმინისტრები, მიხვდა, რომ „ქართული ოცნება“ არის რუსული პარტია და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „გაეცალეთ ამ პარტიას და დადექით იქ, სადაც ქართველი ხალხი და საქართველო დგას“.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ სხდომათა დარბაზში შემოსვლა რამდენიმე წუთით დააგვიანა და სურს პატივი მიაგოს უკრაინაში გარდაცვლილ, როგორც სამოქალაქო, ასევე, სამხედრო პირებს. განსაკუთრებული მწუხარება გამოთქვა ორი ქართველი მებრძოლის გარდაცვალების გამო და მიუსამძიმრა მათ ოჯახებს. მისი თქმით, ძალიან სიმბოლურია დღეს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან დაწყებული კამპანია და განსაკუთრებით, ვლადიმერ ბოჟაძის მიერ, სუსის ნარატივების გაჟღერება და მთელი დარბაზის აყოლიება. განაცხადა, რომ მიუღებელია რეზოლუციის ხელმოწერაზე საუბარი იმ ადამიანებისგან, რომლებსაც წაკითხულიც არ აქვთ რეზოლუცია და ისიც არ იციან, რომ იმ რეზოლუციით ხელი მოეწერა აღიარებას, რომ 2008 წელს იყო არა ეთნიკური დაპირისპირება, არამედ ომი რუსეთ-საქართველოს შორის და როდესაც მთელი ცივილიზებული სამყარო შეთანხმდა, რა მოხდა 2008 წელს, ომის დაწყებაში ადანაშაულებენ საქართველოს. ლილე ლიპარტელიანის თქმით, უკრაინა საქართველოსგან ითხოვს საინფორმაციო მხარდაჭერას და საერთაშორისო სანქციებთან შეერთებას, რაც გამოიხატება თუნდაც იმაში, რომ მაგალითად „ვითიბი“ ბანკიდან არ მოხდეს თანხების გადარიცხვა და ასე ვთქვათ, „რუსეთის ეკონომიკის გაცოცხლება“, თუმცა საქართველოს ხელისუფლება ამ საქციის დაწესებას ვერ ბედავს. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს, როდესაც საქართველო იმყოფება ეგზისტენციალური საფრთხეების და სუვერენიტეტის დაკარგვის პირობებში, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა საკრებულოში მოაწყეს ყოვლად მიუღებელი რამ და მიმართა მათ - „ომი უნდა გვაერთიანებდეს... უნდა გვაძლიერებდეს და გვაერთიანებდეს ეს სიტუაცია, რომელიც ჩვენს რეგიონში არის დღეს და ასეთ სიტუაციაშიც კი, არ შეგიძლიათ თქვენ, რომ გავერთიანდეთ“.

გიორგი შარაშიძის თქმით, მას ჰქონდა მოლოდინი, რომ საკრებულოს წევრები დღეს მაინც შეძლებდნენ პოზიციების დაახლოებას იმდენად, რამდენადაც ქვეყნის წინაშე დგას უდიდესი გამოწვევა, თუმცა, მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ვერც მმართველი პარტია და ვერც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ვერ ახერხებს დადგეს ვიწრო პარტიულ ინტერესებზე მაღლა, დაივიწყოს საკუთარი პოლიტიკური ამბიციის და გაერთიანდნენ ქვეყნის ინტერესების გარშემო. მან გამოხატა მხარდაჭერა უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძვიან რუსეთის აგრესიისგან საკუთარი სამშობლოს დასაცავად და განაცხადა, რომ სწორედ მათმა თავდადებულმა და შუპოვარმა ბრძოლამ გახსნა სრულიად ახალი შესაძლებლობები, მათ შორის, ჩვენი ქვეყნისთვის და დღეს, ისე, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია საქართველომ უერთგულოს თავის ისტორიულ, ევროპულ არჩევანს და სიტყვითაც და საქმითაც, ყველამ ერთად, დავამტკიცოთ, რომ საქართველო მზად არის და იმსახურებს ნამდვილი ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრობას. თუმცა, სამწუხაროდ, ამის საპირისპიროს ამტკიცებს თბილისის მერის და პირადად თბილისის მერის ქმედება, როდესაც იგი არაფრად აგდებს და აიგნორებს ხალხის მიერ არჩეული საკრებულოს წევრების წერილობით მოთხოვნებს, რაც არა მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევაა, არამედ რადიკალურად ეწინააღმდეგება თვითმმართველობის ძირითად პრინციპებს და შორსაა ევროპული ღირებულებებისგან. კანონი თბილისის მერს და მის დაქვემდებარებაში მყოფ ჩინოვნიკებს პირდაპირ ავალდებულებს უპასუხოს საკრებულოს წევრებს და რადგან კახა კალაძე არ პასუხობს საკრებულოს დეპუტატების წერილობით მოთხოვნებს, მიმართა მას - „სწორედ ევროპული თვითმმართველობის ქარტიის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის დაცვა და გაძლიერება წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს

დემოკრატიისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობისთვის. თქვენ კი, ბატონო კახი, იმის ნაცვლად, რომ საკუთარი წვლილი შეიტანოთ თვითმმართველობის გაძლიერებაში და ამით კიდევ უფრო მეტად შეუწყოთ ხელი საქართველოს ევროპასთან დაახლოებას, პირიქით იქცევით, სამწუხაროდ, ასუსტებთ და აკნინებთ თვითმმართველობის არსს“. მისი თქმით, ასეთი ქმედება შეურაცხმყოფელია, რადგან გაუგებარია, რა აზრი აქვს საკრებულოს საქმიანობის გაგრძელებას იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს წევრებს არ მიეცემათ თავიანთი პირდაპირი მოვალეობის სრულფასოვნად შესრულების საშუალება და თბილისის მერია კვლავ დააიგნორებს მათ წერილობით მოთხოვნებს. საუბრის ბოლოს, გიორგი შარაშიძემ მიმართა საკრებულოს წევრებს - „ამჯერად მაინც შევძლოთ გაერთიანება იმ ძალიან დიდი მიზნის გარშემო, რასაც საქართველოს გადარჩენა და საქართველოს ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრად გახდომა ჰქვია“.

ლევან არველაძე გამოეხმაურა თბილისის მერიის მიერ მეტროს ვაგონების რუსული კომპანიისგან შესყიდვასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ თბილისის სატრანსპორტო კომპანია წლებია მუშაობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან და ყველასთვის ცნობილია, რომ გამოყოფილი იყო ტრანში, რის საფუძველზეც განხორციელდა ავტობუსების ჩანაცვლების პროგრამის მხარდაჭერა, ხოლო შემდეგ დაიწყო თბილისის მეტროს განვითარების პროექტის დაფინანსება. იზიარდის მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა კომპანია „მეტროვაგონმაში“, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს მეტროს ვაგონების წარმოების და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გაყიდვის კუთხით. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება, თუმცა, ამ ეტაპზე, შეჩერებულია გადახდა და ველოდებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე, იმაზე საუბარი, რომ თბილისის მერია ყიდულობს რუსულ ვაგონებს, სიმართლეს არ შეესაბამება.

ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომაზე გაჟღერდა ბევრი სამარცხვინო პოზიცია და სირცხვილია, რომ დღეს, როდესაც არა მარტო უკრაინა, არამედ საქართველოც, საერთაშორისო თვალსაზრისით, დგას ძალიან დიდი გამოწვევის წინაშე, საკრებულოში მიმდინარეობს მსგავსი პოლემიკა და ისურვა, რომ გვყავდეს უფრო მეტად სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხელისუფალი. აქვე, გამოეხმაურა ლევან არველაძის მიერ მეტროს ვაგონების შესყიდვასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ სწორედ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მისმა ლიდერმა მიმართა თბილისის მერიას, შეეწყვიტა „მეტროვაგონმაშითან“ გაფორმებული ხელშეკრულება, რომელთანაც, თითქოს, არანაირი შემხებლობა არ ჰქონდა თბილისის მერიას ან თბილისის სატრანსპორტო კომპანიას. ანა გოგოლაძის თქმით, აღნიშნულ საკითხს კახა კალაძემ სპეციალური დრო დაუთმო და სრულიად წარუმატებლად, ყალბი არგუმენტებით სცადა მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა, რადგან, მიუხედავ იმისა, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პოლიტიკის წესების თანახმად, ის არის პლატფორმა, რომელზეც მიმდინარეობდა ტენდერი და ამასთანავე, აფინანსებდა ვაგონების შესყიდვას, ტენდერი მიმდინარეობდა კლიენტის და ამ შემთხვევაში, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის, მიერ დაწესებული წესებით და მათ მიერ შედგენილი ტექნიკური მახასიათებლებით და სწორედ თბილისის სატრანსპორტო კომპანია უზრუნველყოფდა, როგორც პროცესების წარმართვას, ასევე, გადაწყვეტილების მიღებასა და სატენდერო კომისიის დაკომპლექტებას. ანა გოგოლაძემ ისაუბრა კომპანია „მეტროვაგონმაშის“ ჯავშანტექნიკის და იარაღის წარმოებასთან შემხებლობაზე და განაცხადა, რომ თავად ამ კომპანიის საიტი და რუსეთის ეროვნული რეესტრის ამონაწერი, ადასტურებს ინფორმაციას, რომ აღნიშნული კომპანია უზრუნველყოფს ჯავშანტექნიკის, იარაღისა და საბრძოლო ატრიბუტიკის წარმოებას და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სისტემისთვის მიწოდებას. აქედან გამომდინარე, მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „როდესაც მერი ან საკრებულოს წარმომადგენლები ტყუილის ტირაჟირებაში დაადანაშაულებთ ოპონენტებს, ძალიან გთხოვთ, რომ შესაბამისი არგუმენტებით მოახდინოთ პოზიციონირება“. ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ ევროპის

რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ტენდერის შეწყვეტა დაკავშირებული იყო იმასთან, რომ შესაძლოა კომპანია „მეტროვაგონმაში“ მოექცეს სანქცირებულთა სიაში და ამიტომ, უკრაინაში მიმდინარე პროცესების დასრულებამდე, იზიარდნა მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება, რასაც ადასტურებს ქალაქის მერიც. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, კომპანია მოექცევა თუ არა სანქცირებულთა სიაში, ქართულ მხარეს ექნება სახელმწიფოებრივი პოზიცია, რუსეთის ბიუჯეტში არ შეიტანს ფულს და ირიბად არ დააფინანსებს რუსეთის აგრესიას.

საბა ბუაძემ კიდევ ერთხელ პატივი მიაგო ოკუპანტის წინააღმდეგ ბრძოლაში გმირულად დაღუპული ქართველი მეზრძოლების ხსოვნას და განაცხადა, რომ შემთხვევითი არ არის, რომ დღეს, ქართველები მზად არიან საკუთარი სიცოცხლე დათმონ სხვა ქვეყანაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში, რადგან ეს არ არის სხვა ქვეყანაში მიმდინარე ომი და მას, როგორც არასდროს, ისეთი გავლენა აქვს ჩვენი ქვეყნის ხვალისდელ დღეზე. მისი თქმით, 30 წლის წინ, საბჭოთა კავშირის დაშლისას, არსებობდა ფართოდ გავრცელებული აღქმა, რომ ეს პროცესი, დიდწილად, მოხდა უსისხლოდ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 1989 წლის 9 აპრილს, საქართველო იყო პირველი ქვეყანა, სადაც ახალგაზრდა ადამიანების სისხლი უძღვოდა წინ მის დაშლას. თუმცა, სინამდვილეში, საბჭოთა კავშირის სწორედ სისხლის ფასად დაშლა მიმდინარეობს დღეს და ჩვენ ამას ვხედავთ, როგორც საქართველოს მაგალითზე, რაც მკაფიოდ გამოჩნდა 2008 წელს და ასევე, ვხედავთ უკრაინაში და დღეს ჩვენმა ქვეყანამ ისე, როგორც არასდროს, ძალიან მკაფიოდ და მკვეთრად, თავისი საქმით, სიტყვით და ღირებულებებით, უნდა დააფიქსიროს, სად დგას ამ პროცესში. მისი თქმით, მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო მიდის კონსოლიდაციის გზაზე, გამაოგნებელი და სამწუხაროა საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივი დეზინტეგრაციის პროცესი და საბჭოთა კავშირის დროინდელი ტრადიციული დაპირისპირება, რაც გამოიხატება პოლიტიკური ოპონენტებისთვის მოლაპატის ძახილში. მაშინ, როდესაც ყოველდღიურად იღუპებიან ადამიანები და ბავშვებს დარბაზში და ნებისმიერ სხვა სივრცეში, 2008 წლის ომგამოვლილი ქვეყანა, არ ვთანხმდებოდეთ იმაზე, რომ ჩვენ, ახლა, როგორც არასდროს, გვჭირდება ერთიანობა. საბა ბუაძის თქმით, „ქართული ოცნების“ მიმართ ძალიან კრიტიკული დამოკიდებულებების მიუხედავად, ის მოლაპატედ არ მიაჩნია და არც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიაჩნდა მოლაპატედ მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელის ოპოზიციაში იყო და განაცხადა, რომ პოლიტიკური ოპონენტებისთვის მოლაპატეების ძახილის კულტურა წარსულს უნდა ჩაბარდეს, რადგან ეს ყველაფერი შეუძლებელს ხდის პოლიტიკური პროცესის ნორმალურად გაგრძელებას, რისი ნათელი მაგალითიც არის დღევანდელი დღე, როდესაც საკრებულოს წევრებს, საქმიანად უნდა ესაუბრათ ძალიან ბევრ პრობლემაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, დისკუსია გადაიზარდა „ტოქსიკურ დაპირისპირებაში“, რომლის ტონის მიმცემიც არის ხელისუფლება. მისი თქმით, სამარცხვინოა, როდესაც ხელისუფლება ჯარისკაცებს, რომლებმაც თავისი სიცოცხლის ფასად უნდა დაიცვან ქვეყანა, ეუბნება, რომ რუსეთმა თუ განიზრახა, ერთ დღეში აიღებს თბილისს და ათი წელი ხელისუფლებაში ყოფნის შემდეგ, საკუთარი ქვეყნის მოსახლეობას ეუბნება, რომ თუ რუსეთთან მიმართებაში დაიკავებს ცოტა ხისტ პოზიციას, არ გვექნება მარგარინი და ზეთი. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ არავინ მიიღებს ევროკავშირში იმ ქვეყანას, რომლის სახელისუფლებო პარტია განსაზღვრავს „ტოქსიკურ ტონს“ და ოპოზიციურ პარტიებს ეუბნება, რომ თურმე მათ უნდათ ამ ქვეყანაში ომი. ჩვენი კრიტიკა მიმართულია სწორედ იქით, რომ ამ ძალისხმევით და ამ ხელისუფლებით ქვეყანა ვერ მოხვდება ევროკავშირში, რადგან „ბიძინა ივანიშვილი დღეს არის საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მთავარი მუხრუჭი“.

დავით ფარცვანიამ განაცხადა, რომ ფიქრობდა, დღეს საკრებულოს წევრები იქნებოდნენ ერთიანები, თუმცა ორმა პარტიამ, „ქართულმა ოცნებამ“ და „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომლებიც კვებავენ ერთმანეთს, გამართეს შოუ. აღნიშნა, რომ სოლიდარულები უნდა ვიყოთ უკრაინის მიმართ, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის და მიმართა კოლეგებს - „მოგიწოდებთ, რაღაც კონკრეტულ, ზეპარტიულ საკითხებში მაინც ვიყოთ ერთიანები და ნუ



კვებავთ ერთმანეთს“. მისი თქმით, ჩვენ ვცხოვრობთ იმ ქვეყანაში, სადაც გაბვირდა საწვავი, პროდუქტები, ძალიან ბევრი ადამიანი გარბის ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში და საკრებულოს წევრები, ამ პრობლემებზე საუბრის ნაცვლად, საათობით ჩხუბობენ, ხოლო თბილისისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობას დაუთმობენ 5 წუთს, რადგან იქნებიან გადაღლილები. დავით ფარცვანიამ ისაუბრა თბილისის მეტროს ვაგონების შესყიდვაზე და აღნიშნა, რომ ის არაფერს ამბობს იმაზე, თუ რატომ ყიდულობდა თბილისის მერია რუსულ ვაგონებს, სახელისუფლებო გუნდის მხრიდან ძალიან ცუდი ტონი იყო, როდესაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამბობდნენ, თითქოს არანაირი ფორმით არ იყვნენ ჩართულები ტენდერში. მისი თქმით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სტანდარტული პროცედურების თანახმად, როგორც კლიენტი, იმპლემენტაციას ახორციელებდა თბილისის სატრანსპორტო კომპანია და თბილისის მერია. მისი თქმით, დეტალებში არ არის გარკვეული, რადგან აღნიშნულთან დაკავშირებით მოთხოვნილ ინფორმაციას თბილისის მერია არ აწვდის, რითიც უხეშად არღვევს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 45-ე მუხლის პირველ ნაწილს და საკრებულოს უკარგავს ფუნქციას, რაც ინსტიტუტების მიმართ უპატივცემულობაა. აქვე აღნიშნა, როდესაც საუბარია იმაზე, რომ სანქცირება მოხდება იზიარდის წესების თანახმად და არ მოხდება ტრანშის გადარიცხვა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენც შეგვიძლია ამ საკითხის გადაწყვეტა, კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების კანონში თუ არა, ხელშეკრულებებში გავითვალისწინოთ, რომ თუ კონკრეტული კომპანია რეგისტრირებულია აშშ-ს ან ევროკავშირის მიერ სანქცირებულ ქვეყანაში ან კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში, მაგრამ მიმწოდებელი არის სანქცირებული ქვეყნის მოქალაქე, ავტომატურად მოხდეს მისი დისკვალიფიკაცია.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ ამ დარბაზში არიან ადამიანები, რომელსაც პარტიული და პოლიტიკური აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ქვეყნის სიყვარული აერთიანებთ და რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ომში. მისი თქმით, იმ პარტიის წარმომადგენელს, რომლის პარტიაც „შტამპავდა გარკვეულ ფურცლებს“, ჯარიდან გათავისუფლების მიზნით, არ აქვს უფლება დარბაზში მსხდომ საზოგადოებას ესაუბროს ომში წასვლა არწასვლაზე და მიმართა ცოტენ კობერიძეს - „მეტი სიფრთხილე გამოვიჩინოთ და ვეძებოთ ერთმანეთისკენ სავალი გზები, როგორ შეიძლება ჩვენი ქვეყანა იყოს უკეთესი და უფრო ძლიერი ხვალ, ვიდრე არის დღეს.“

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ ქედს იხრის გმირი უკრაინელი ხალხის და ქართველი პატრიოტების წინაშე, რომლებიც დაეცნენ ბრძოლის ველზე. მისი თქმით, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების ფონზე, მიუღებელია, საკრებულოს სხდომა იწყებოდეს იმ დემაგოგიით, რაც დღეს მოვისმინეთ. სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლების მხრიდან, ისევ გრძელდება ისეთი განცხადებების გაკეთება, რომლებიც ემსახურება პოლარიზებას და საზოგადოების გახლეჩვას, რაც, ნებით თუ უნებლიეთ, რუსული ნარატივია და „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით არ გვაქვს პერსპექტივა, რომ ქვეყანა შევქმნათ იმ ღირსეულ სახელმწიფოდ, რომლისთვისაც აქ ვართ. მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია თბილისის საჭიროებებისთვის განსახილველი საკითხები და ოპოზიციის წარმომადგენლებს, პრაქტიკულად არანაირი მოტივაცია არ აქვთ, რომ ამ თემებთან დაკავშირებით, წარმოდგინონ კონსტრუქციული და საქმეზე ორიენტირებული წინადადებები, რადგან არ იქნება მხარდაჭერილი მხოლოდ იმიტომ, რომ ოპოზიციის ინიციატივაა. მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ არ შეიძლება სერიოზული პასუხი გაეცეს იმას, თუ რა სავიზო რეჟიმი მოქმედებდა საქართველოსა და რუსეთს შორის ათი წლის წინ, როცა დღეს საომარი მდგომარეობა გვაქვს და ყველამ ვიცით, რომ „ტროას ცხენი“, რუსი ტურისტების სახით, საქართველოშია. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ არ შეიძლება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მისი წევრები მოიხსენიონ „ომის პარტიად“ და განავითარო ეს დემაგოგია და იმედს იტოვებს, რომ ურთიერთობის ეს ფორმა შეიცვლება, რადგან ასე გაგრძელება და პოლარიზების გაღრმავება არ შეიძლება.



ლევან ჟორჟოლიანი თანაგმნობა გამოხატა დადებული გმირების ოჯახის წევრების მიმართ, და განაცხადა, რომ ომში მებრძოლი ადამიანები იცავენ არა მხოლოდ უკრაინას, არამედ მთელ ევროპულ ცივილიზაციას. მისი თქმით, ძალიან მძიმეა ამ ყველაფრის ყურება და დარწმუნებულია, რომ საქართველოში არ არსებობს ადამიანი, განურჩევლად პარტიული კუთვნილებისა, რომელიც 24 საათის განმავლობაში თვალს არ ადევნებდეს იმ უბედურებას, რაც დღეს უკრაინაში ხდება და ამ ყველაფერს არ განიცდიდეს ისე, თითქოს ეს ხდება ჩვენს ქვეყანაში. ლევან ჟორჟოლიანი ასევე, ისაუბრა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია ერთი მხრივ, პოლარიზების შემცირებაზე საუბარი და მეორე მხრივ, რუსული ნარატივის გატარებას და რუსეთუმეობას აბრალებდნენ კოლეგებს, რომლებიც დაბადებული და გაზრდილები არიან დამოუკიდებელ საქართველოში. განაცხადა, რომ ძალიან უნდა საკრებულოს წევრები ორიენტირებულნი იყვნენ თბილისელების პრობლემებზე და მათი ყველა გამოსვლა ემსახურებოდა მოსახლეობის საჭიროებებზე ზრუნვას. ლევან ჟორჟოლიანი ასევე, გამოეხმაურა მიხეილ კაკაურიძის განცხადებას, რომელიც ეხებოდა ოპოზიციის მიერ საქმიანი წინადადებების ინიცირებას და აღნიშნა, ვერ იხსენებს ვერც ერთ შემთხვევას, როდესაც ოპოზიციის წარმომადგენლებმა დააყენეს კონსტრუქციული წინადადება კომისიის სხდომაზე და უმრავლესობის წევრებმა ან შეაწყვეტინეს, ან არ გაითვალისწინეს იმ მიზეზით, რომ წინადადება ინიცირებული იყო ოპოზიციის წევრის მიერ და მოუწოდა კოლეგებს, „თუ გინდა საქმეზე საუბარი, ვილაპარაკოთ და გადავიდეთ საქმეზე“.

ზაზა თავაძემ მიუსამბიძრა უკრაინაში გარდაცვლილი ქართველი მებრძოლების ოჯახის წევრებს და განაცხადა, რომ მათ თავი შესწირეს არა მარტო უკრაინის მიწაზე მიმდინარე ომს, არამედ, ყველა ვთანხმდებით, რომ ეს არის ჩვენი ომიც. მან მხარდაჭერა გამოუცხადა გმირ უკრაინელ ხალხს და უსურვა, რომ მათი ბრძოლა ტირანიის წინააღმდეგ გამარჯვებით დასრულდეს, რაშიც, მისი თქმით, საქართველომ თავისი წვლილი, სიტყვით თუ საქმით, კიდევ უფრო მეტად უნდა შეიტანოს. ასევე, ისაუბრა საკრებულოს სხდომაზე განვითარებულ მოვლენებზე, განაცხადა, რომ „დადგმული სპექტაკლი“ ეგონა და მიმართა საკრებულოს წევრებს - „ეს დრო უნდა დასრულდეს, ჩვენ ერთად უნდა ვაკეთოთ საქმე“.

კახაბერ ლაბუჩიძემ მიუსამბიძრა უკრაინაში გარდაცვლილი მებრძოლების ოჯახის წევრებს და განაცხადა, რომ იზიარებს ლევან ჟორჟოლიანის გამოსვლის პათოსს და არ შეიძლება ტალახის სროლა ისეთი დოზით, რასაც ამას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მხრიდან აქვს ადგილი, რადგან არსებობს პოლიტიკური ოპონირება და არსებობს შეურაცხყოფის ზღვარი. მისი თქმით, რაშიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ადანაშაულებს დღევანდელ ხელისუფლებას, ეს არის პასუხისმგებლობის გრძნობა იმ ხალხის და ქვეყნის მიმართ, რომელმაც „ქართული ოცნების“ გუნდს სამჯერ მიანიჭა მანდატი, ხოლო უპასუხისმგებლობაა, როდესაც დაუფიქრებლად, ქმნი ზემო აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთის გაურკვეველ ადმინისტრაციას. ასევე, უპასუხისმგებლობაა, შეხვიდე ომში, რომელსაც შეწყვეტ ხუთ დღეში და შემდეგ მოიქცე ისე, თითქოს ეს ომი არც ყოფილა. კახაბერ ლაბუჩიძის თქმით, დღევანდელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში არ იყოს ომი და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის ათი წლის განმავლობაში არ არსებობს არც ერთი საერთაშორისო პლატფორმა, სადაც ეროვნული საქმე არ გააკეთა და მიმართა ოპონენტებს - „დაგვაბრალეთ რაც გინდათ, მაგრამ არაეროვნულობას ნუ დაგვაბრალებთ“, ერთად ვიმსჯელოთ დედაქალაქზე და ვაკეთოთ საქმე.

ზარბაზა ჯიმელი სულაშვილმა განაცხადა, რომ დღეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ყველა ქვეყანამ უნდა აირჩიოს, რომელ მხარეს დგას. საკრებულოს სხდომათა დარბაზში ისმოდა ტრაზახი იმასთან დაკავშირებით, თუ რა გაკეთდა და ძალიან კარგია, როდესაც რამე კეთდება, თუმცა, რომ ვისაუბროთ არა ვიწრო პარტიული ინტერესიდან, არამედ რიგითი მოქალაქის პოზიციიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ თავისი ქმედებებით უნდა დაადასტუროს ის, რასაც ლაპარაკობს. მისი თქმით, როგორც მოქალაქე, აღშფოთებულია, როდესაც საბჭოთა მეთოდებით უსმენენ ადამიანებს იმ დროს, როდესაც არც ერთი ჯაშუში არ

არის გამოვლენილი. როგორც მოქალაქე, აღშფოთებულია იმით, რომ ოკუპაციის ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა თავს გრძნობს მიტოვებულად და პრემიერმინისტრი მათთან მხოლოდ მაშინ ჩადის, როცა ეს თავად სჭირდება. როგორც მოქალაქე, აღშფოთებულია, რომ რუსეთის პროპაგანდის წარმომადგენლები, ალტ-ინფოს სახით, დარეგისტრირდნენ როგორც პარტია და ოფისებს ხსნიან სახელმწიფო ფართებში. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, დღევანდელ მთავრობას მართლა უნდა თუ არა ევროპისკენ და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს - „თქვენ ჩაატარეთ არჩევნები ისე, როგორც ჩაატარეთ და ჩვენზე უკეთ იცით, რის ხარჯზე და რა დაგიჯდათ ის უმრავლესობა რაც არის პარლამენტში და რაც არის საკრებულოში... კეთილი ინებეთ და აიღეთ პასუხისმგებლობა იმაზე, რასაც აკეთებთ... თითქმის ათი წელია გაქვთ საშუალება, გამოასწოროთ ის, რაც არ მოგწონთ... თუ შეიძლება, მოქმედებით და საქმის კეთებით გვიჩვენეთ ის, რაზეც ძალიან მაღალი ტონით საუბრობთ“.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით განსახილველად წარმოდგენილია 77 საკითხი, მათ შორის არის სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელიც ძალიან საინტერესოა და მიმართა გიორგი ტყემალაძეს, დაიწყო მუშაობა. აქვე, მიმართა ვლადიმერ ბოჩაძეს - „რატომ დაიწყეთ აგრესია?“ და აღნიშნა, რომ ბევრად უფრო მისაღები იქნებოდა, რომ მას საუბარი დაეწყო იმით, თუ რას გავს გალაქტიონის ქუჩა, რადგან საკრებულოს წევრები მოსახლეობამ აირჩია იმისთვის, რომ მიხედონ ქალაქს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორციხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 02 ოქტომბრის N25-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: კახაბერ გვანცელაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყო ფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების - რაიონების საზღვრების დადგენის და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

6. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადმინისტრაციული ერთეულების - რაიონების ტერიტორიულ ერთეულებად – უზნებად დაყოფის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოდების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვახტანგ მაჩიტაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

9. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, 125<sup>2</sup> მუხლით და 135<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

10. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M<sub>3</sub> კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M<sub>3</sub> კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M<sub>2</sub> კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე

რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

12. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

13. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში), 135-ე-135<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 135<sup>1</sup>-135<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

14. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შედავითიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების

თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M<sub>3</sub> კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M<sub>2</sub> კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ნუგზარ ჭონქაძე

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნუგზარ ჭონქაძე

21. „ქალაქ თბილისში, სოფელ ნასაგურში, იორის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.14.542.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქალაქ თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა N24-ში (საკადასტრო კოდი: (საკადასტრო კოდები: N01.18.03.068.007.01.534 და N01.18.03.068.007.01.535) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, ზემო პლატოს კორპუს N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.005.006.01.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV შესახვევის N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.31.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

26. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, მია წყნეთელის ქუჩა, „გ“ ზონა, N18-ში მდებარე 81.12 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.100.010.01.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

27. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N36ვ-ში მდებარე 80.30 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.09.035.001.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

28. „ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N67დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.06.002.018.01.044) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

29. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N7ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.003.01.040) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

30. „ქალაქ თბილისში, სოფელ წინუბანში, იაღნოს ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.09.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

31. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

32. „ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N41-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.003.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

33. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N138-140/ხრესილის ქუჩა N2-ში მდებარე 41.30 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.12.12.018.059.01.01.029) და ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N138-140/ხრესილის ქუჩა N2-ში მდებარე 68.90 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.12.12.018.059.01.01.031) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

34. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორეს მე-4 შესახვევი N5-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.21.463.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

35. „ქალაქ თბილისში, მარუაშვილის ქუჩა N50-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.014.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

36. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის II ჩიხის N8-ში მდებარე 72.20 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.011.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

37. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

38. „ქალაქ თბილისში, დოლაბაურის ქუჩა N6-ში მდებარე 2129 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.13.040.067) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

39. „ქალაქ თბილისში, ოქროყანა, ზონა „გ“, კოტეჯი N122-ში მდებარე 84.69 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.052.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

40. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N34-ში მდებარე 67.74 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

41. „ქ.თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2371 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლე ებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „მს ბილდერისთვის“ (ს.ნ.: 405427765) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

42. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ვარკეთილი დეველოპმენტს“ (ს/ნ.: 405323699) შორის 2019 წლის 28 ივნისს გაფორმებული „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ იმპლემენტაციის ხელშეკრულების“ ფარგლებში განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

43. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ში, მე-2 მიკრორაიონის კორპუს N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.023.004.01.521) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 11 იანვრის N22.5.3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე



44. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N15ბ-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.14.04.028.024) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

45. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.16.28.132); ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა N3, მე-3 სართულზე 95 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.006.01.596) და ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა N3, მე-3 სართულზე 82.50 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.006.01.594) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

46. „ქ.თბილისი, მუხიანის დასახლება IVბ მ/რ-ში, კორპუსი N45-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 750 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.006.958) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

47. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ.თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N31 (ს/კ.: N01.14.07.001.044) არსებულ მიწის ნაკვეთზე შპს „ბაგები რეზიდენსის“ (ს/ნ.: 405446209) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

48. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ.თბილისი, მუხიანის საცხოვრებელი რაიონი, მუხიანისა და გლდანისკენ მიმავალ გზაზე, ბოლო საცხოვრებელი სახლის მიმდ. (ნაკვეთი N2/40); დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი I, N137 ბაგა-ბადის და ავტოგასამართ სადგურს შორის (ნაკვეთი N2-72) (ს/კ.: N01.11.13.002.072) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს (ს/ნ.: 202161098) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

49. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ.თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქ.N54 (ს/კ.: N01.10.06.001.221) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ედემის“ (ს/ნ.: 405098727) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

50. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N 01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14 (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10 (ს/კ.: N 01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.:

204460957) და შპს „ნიუ სითის“ (ს/ნ.: 404516582) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

51. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.№1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.№3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.№6, კორპუსი 14 (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.№16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N 01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.№45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.№10 (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „იერი ჯგუფის“ (ს/ნ.: 404626785) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

52. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

53. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

54. „ქალაქ თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქუჩა N6, N7, მარშალ გელოვანის გამზირი N23გ, N27, N23, N23ა, N23ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.023; N01.10.10.025.036; N01.10.10.025.045; N01.10.10.025.069; N01.10.10.025.070; N01.10.10.025.071; N01.10.10.025.086), მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საოფისე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სკოლა, ბაღი, კომერციული და დამხმარე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N118 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

55. „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირის N64-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.01.005.129-ის ნაწილი; N01.12.01.005.051; N01.12.01.005.091; ნაკვეთი: N5/50, N5/51, N005/056) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N142 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

56. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის (ნაკვეთი 14/174); ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი 3, მიკრო/რაიონი IV მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.36.014.174; N01.19.36.016.765) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

57. „ქალაქ თბილისში, დოდობერიძის ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდები: N01.18.13.020.063) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

58. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, ზაქარია ბაქრაძის ქუჩა, N12გ, N12დ, 12ა, 12ბ; ქალაქი თბილისი, დაბა კოჯორი, რაფიელ ერისთავის I ჩიხი, N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.01.17.047; N81.01.17.052; N81.01.17.049; N81.01.17.050; N81.01.17.223; N81.01.17.051) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

59. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.30.001.261) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N152 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

60. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N88 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

61. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ორხევის ხიდის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. 003/021) (საკადასტრო კოდები: N01.19.24.003.066; N01.19.24.003.067) საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

62. „ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N23, N23ა, N27, N25; ქალაქი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ-ზე; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი N29-ის მიმდებარედ არსებულ ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.209; N01.72.14.014.920; N01.72.14.014.957; N01.72.14.014.932; N01.72.14.014.959; N01.72.14.014.086; N01.72.14.014.512) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

63. „ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მ.ჯავახიშვილის ქუჩა N11; ქალაქი თბილისი, სასწრაფო სამედიცინო სადგურის მიმდებარედ (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე); ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩა N20-ის მოპირდაპირედ; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის N23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.15.04.003.048; N01.15.04.003.005; N01.15.04.003.044; N01.15.04.003.008;

N01.15.04.003.013; N01.15.04.003.024) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

64. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N215, N217-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.007.711; N01.72.14.007.710) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

65. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თხინვალას ქუჩა N29-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 72.16.22.516) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

66. „ქალაქ თბილისში, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, N5ა; N3ა N3; N5; N7; N9; N9ა; N11; არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.207; N01.72.14.014.649; N01.72.14.014.638; N01.72.14.014.879; N01.72.14.014.250; N01.72.14.014.631; N01.72.14.014.735; N01.72.14.014.968) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

67. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და ქიზიყის ქუჩის გადაკვეთაზე, (ნაკვ. 03/006); ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.21.003.134; N01.19.21.003.145; N01.19.21.003.141; N01.19.21.003.154) მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული, სასაწყობო) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

68. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.97.315; N81.02.96.137) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

69. „ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.08.31.744; N81.08.31.587; N81.08.31.331) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

70. „ქალაქ თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე სავაჭრო, საოფისე, ავტოვაგზალი, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 4 თებერვლის N01/90 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

71. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქ., წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის დასახლებებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 ივნისის N214 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

72. „ქალაქ თბილისში, ივერი ფრანგიშვილის ქუჩა, N33, N35, N37, N39, N41; ქალაქ თბილისში, ავშნიანში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.13.40.023; N72.13.40.019; N72.13.40.020; N72.13.40.021; N72.13.40.022; N72.13.40.024; N72.13.40.026) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

73. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.11.505; N81.02.11.506; N81.02.11.507; N81.02.38.266) საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

74. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში; ქალაქი თბილისი, სოფელი გლდანი, „ავშნიანში“ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.13.41.020; N72.13.41.012; N72.13.38.245; N72.13.41.009; N72.13.41.712; N72.13.41.713; N72.13.41.402; N72.13.41.016; N72.13.41.744; N72.13.41.043; N72.13.41.042; N72.13.41.663; N72.13.38.143; N72.13.41.479; N72.13.41.481; N72.13.41.055; N72.13.41.045; N72.13.41.522; N72.13.41.405; N72.13.41.171; N72.13.41.493; N72.13.41.428; N72.13.41.404; N72.13.41.625; N72.13.41.414; N72.13.41.044; N72.13.41.398; N72.13.41.492) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

75. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-10 კმ., ქალაქი თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა N9, N11ა, N11, N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.01.013.025; N01.13.01.013.010; N01.13.01.013.028; N01.13.01.013.027; N01.13.01.013.012; N01.13.01.013.006; N01.13.01.013.026; N01.13.01.012.056; N01.13.01.012.058; N01.13.01.007.054) საუნივერსიტეტო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N368 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

76. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2021 წლის 9 თვის (01.07.2021-31.12.2021) გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჯაფარიძე

77. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 02 ოქტომბრის N25-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უფროსმა კახაბერ გვანცელაძემ და განმარტა, რომ დედაქალაქის მერის ინიციატივით, უკრაინელ ბავშვებს მიიღებენ თბილისის საბავშვო ბაღებში და ისინი ისარგებლებენ ყველა მუნიციპალური სერვისით, რითიც სარგებლობენ თბილისელი ბავშვები. აქედან გამომდინარე, დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილებით მარტივდება 2-დან 6 წლამდე უკრაინელი ბავშვების მიღება თბილისის ბაღებში, კერძოდ, უკრაინის მოქალაქეები, ელექტრონული პროცედურების გავლის გარეშე შეძლებენ მიმართონ ბაღების სააგენტოს, წარადგინონ საზღვრის კვეთის დოკუმენტი, ბავშვის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი და განცხადება, რის შემდეგაც სააგენტო ბავშვებს დაარეგისტრირებს საბავშვო ბაღებში.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინიციატივა ძალიან მნიშვნელოვანია და მადლობა გადაუხადა სააგენტოს ხელმძღვანელს.

ლევან ყორჟოლიანმა განმარტა, რომ დღეს უკრაინაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ბავშვი საქართველოში მოხვდეს მშობლის გარეშე და აქედან გამომდინარე, დადგენილებაში მითითებული არ არის უკრაინის მოქალაქეების შვილები.

ალექსანდრე რატიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი მისასალმებელია, მადლობა გადაუხადა მერიის წარმომადგენლებს და დაინტერესდა, რატომ არის აღნიშნული საკითხი მიზნული ბინადრობასთან.

კახაბერ გვანცელაძემ განმარტა, რომ დადგენილებაში მითითებულია კონკრეტული თარიღი - 2022 წლის პირველი იანვარი და მათ, ვინც საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა ამ თარიღის შემდეგ, არ მოეთხოვებათ ბინადრობის მოწმობა, ხოლო იმ მოქალაქეებს, რომლებიც 2022 წლის პირველ იანვრამდე იმყოფებოდნენ საქართველოში, მოეთხოვებათ ბინადრობის მოწმობა ან განაცხადი ბინადრობის მოწმობაზე, რაც ძალიან მარტივი პროცედურაა.

მიხეილ კაკაურიძე, იქიდან გამომდინარე, რომ უკრაინელი ბავშვი საქართველოში შესაძლებელია მოხვდეს მშობლის გარეშე, დაინტერესდა, ბინადრობის მოწმობასთან დაკავშირებული ჩანაწერი ხომ არ იქნება რაიმე ბიუროკრატიული შეფერხება ასეთ შემთხვევაში.

კახაბერ გვანცელაძემ განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში სააგენტო მოითხოვს მეურვის დოკუმენტაციას, ხოლო თუ საჭირო გახდება, სააგენტოს უფროსი გამოიყენებს თავის დისკრეციულ უფლებას და ბრძანების საფუძველზე მიიღებს ბავშვს საბავშვო ბაღში.

კახაბერ ლაზუჩიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი განხილული იქნა განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომაზე, სადაც განურჩევლად პარტიულობისა, ერთსულოვნად იქნა დადებითი გადაწყვეტილება მიღებული, რისთვისაც კომისიის წევრებს დიდი მადლობა გადაუხადა.

ვლადიმერ ბოჟაძემ მადლობა გადაუხადა ბაგა-ბაღების სააგენტოს, თბილისის მერიას და საკრებულოს წარმოდგენილი ინიციატივისთვის, აღნიშნა, რომ ანალოგიური ბრძანება იქნა მიღებული განათლების სამინისტროს მიერ და უკრაინელ ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ შეუფერხებლად განაგრძონ სწავლა საშუალო სკოლებშიც და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული სავარაუდოდ, ასევე გავრცელდება პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებზეც.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია იურიდიული დაზუსტება, კერძოდ, 500 ლარიანი მედიკამენტების ვაუჩერის დაფინანსების ჩანაწერში ემატება „თბილისში მცხოვრები პენსიონერები“.

ანა კაკაბაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ინიციატივით, გაიხსნა თურქეთის მედიკამენტების ბაზარი, რამაც წამლების ფასი გააიანა დაახლოებით 50%-დან 60%-მდე, რაც სერიოზული შეღავათია თითოეული ოჯახისთვის და ამასთანავე, სოციალურად დაუცველი პენსიონერები 500 ლარიანი ვაუჩერით სამჯერ მეტი წამლის შეძენას შეძლებენ.

მიხეილ კაკაურიძე დაინტერესდა, საუბარია თბილისში მცხოვრებ თუ თბილისში რეგისტრირებულ პენსიონერებზე.

გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ საუბარია თბილისში მცხოვრებ პენსიონერებზე, რადგან სოციალურად დაუცველი პენსიონერების აღრიცხვა ხორციელდება ფაქტიურ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში შედის ცვლილება, რომლის თანახმადაც ახლად დამატებული ორგანიზაცია ვალდებულია პირველ ეტაპზე განახორციელოს მომლოდინეთა რიგში მყოფი ბავშვების მომსახურება და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება მის მიერ წარმოდგენილი ბავშვების ჩართვა პროგრამაში.

მიხეილ კაკაურიძე დაინტერესდა, ახალ კლინიკებში აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია განხორციელდება თუ არა რიგითობის მიხედვით.

გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ რიგი დაწესებული აქვს კონკრეტულ დაწესებულებას, მერიას რიგი არ აქვს და შესაბამისად, პროექტში ჩართვა მოხდება დაწესებულების რიგის მიხედვით. ხოლო ახალი კლინიკა, პირველ რიგში, მიიღებს იმ ბავშვებს, რომლებიც უკვე მოქმედ დაწესებულებებში არიან მომლოდინეთა რიგში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0



წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყო ფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია ერთი მუხლის დამატება, რომლის თანახმად გადახდა განხორციელდება არა ეროვნული ბანკის, არამედ, კომერციული ბანკის და იმ დღის კურსით, როდესაც მოხდება გამყიდველისთვის თანხის გადარიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების - რაიონების საზღვრების დადგენის და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო საკითხი ერთმანეთთან კავშირშია და ეხება გარდაზნის და თბილისის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლას. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრები შეიცვალა საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, რომლის შესაბამისად ხდება ფაქტობრივი ასახვა როგორც რაიონულ, ასევე, საუბნო საზღვრებში, კერძოდ, კორექტირებას ექვემდებარება თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთი ნაწილი - ე.წ. კალა, ორთაჭალის და ფონიჭალის საუბნო საზღვრები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა ერთხმად.

6. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადმინისტრაციული ერთეულების - რაიონების ტერიტორიულ ერთეულებად – უზნებად დაყოფის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა ერთხმად.

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოდების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელმა ვახტანგ მაჩიტაძემ და განმარტა, რომ დღემდე განსაზღვრული არ იყო მშენებარე ობიექტების მიერ წარმოქმნილი ინერტული და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამიჯვნა, თუმცა, რეალურად ხდებოდა ორივეს წარმოქმნა. „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ განხორციელდა ნარჩენების წარმოქმნის დაანგარიშება და უკვე არსებულ ჩამონათვალს ემატება ოთხი პუნქტი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო ორი საკითხი ეხება საჯარიმო სანქციებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს მიენიჭა გამოქვეყნების უფლებამოსილება. პროტოკოლის სახით, შეიქმნა ერთიანი ფორმა, რომელშიც აისახება სამართალდარღვევის ფაქტები და საჯარიმო სანქციებთან დაკავშირებით, ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით, შესაძლებელია დაჯარიმება. აღნიშნული პროტოკოლი ითვალისწინებს გარკვეულ მოთხოვნებს, კერძოდ, საჯარიმო ქვითარს უნდა ჰქონდეს დამატებითი ასოები, რომლითაც მოხდება მისი აღქმა და ასევე, მეორე ელექტრონული საჯარიმო ქვითარი იქნება შვიდ ციფრიანი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა ერთხმად. ცვლილება

9. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, 125<sup>2</sup> მუხლით და 135<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითარის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის,

მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M<sub>3</sub> კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M<sub>3</sub> კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M<sub>2</sub> კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე კატეგორიების პირებისთვის დგინდება მგზავრობის ოდენობა, კერძოდ, ყველა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის მაქსიმალური რაოდენობა გარკვეული კატეგორიისთვის საერთო ჯამში იქნება 100, ხოლო გარკვეული კატეგორიისთვის - 200.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, პენსიონერებისთვის მგზავრობის შეღავათიანი ტარიფით სარგებლობის რაოდენობა თვეში არის 200, ხოლო ბაღის

აღმზრდელებისთვის - 100 და დაინტერესდა, რა კვლევის საფუძველზე მიიღო ეს გადაწყვეტილება სააგენტომ. აქვე, გამოთქვა მოსაზრება, რომ, როგორც მერიის, ასევე, ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მუშაკებისთვის, სამუშაოს სპეციფიკიდან და მობილობიდან გამომდინარე, თვის განმავლობაში 200 გატარება არ იქნება საკმარისი და აქედან გამომდინარე, კარგი იქნება, შესაბამისმა სამსახურმა იმსჯელოს იმაზე, რომ მათ არ შეეხოს მგზავრობის ლიმიტი. ამასთანავე, მსგავსი პრობლემა შესაძლებელია წამოიჭრას სტუდენტების შემთხვევაშიც, რადგან ბევრ მათგანს ინსტიტუტში მისასვლელად ესაჭიროება რამდენიმე გადაჯდომა სხვადასხვა ტრანსპორტში და კარგი იქნება მუნიციპალიტეტმა იმსჯელოს ამ მიმართულებითაც.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ შეღავათიანი მგზავრობის რაოდენობის განსაზღვრა საჭირო გახდა იქიდან გამომდინარე, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირის ბარათს იყენებს არაუფლებამოსილი პირი, ხოლო რაოდენობის დადგენა მოხდა აღნიშნულთან დაკავშირებით არსებული ინფორმაციის საფუძველზე, კერძოდ, განსაზღვრული იქნა ამა თუ იმ კატეგორიის პირების მიერ მაქსიმალური მგზავრობის მიხედვით. რაც შეეხება, სოციალური მუშაკებისთვის მგზავრობის ლიმიტის დაწესებას, განმარტა, რომ ამ შემთხვევაში სამსახურმა იხელმძღვანელა თვის განმავლობაში სამუშაო დღეების რაოდენობის მიხედვით, ხოლო თუ პრაქტიკაში დადგება ცვლილების საჭიროება, სამსახური განიხილავს აღნიშნულ საკითხს და წარუდგენს საკრებულოს.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა მოხდეს დაკვირვება და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

ცოტნე კობერიძემ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის სააბონემენტო სისტემის შემოღების დროს, ამზობდა, რომ მუნიციპალიტეტი დადგებოდა ისეთი პრობლემის წინაშე, როდესაც ერთი აბონემენტით ისარგებლებდა ბევრი ადამიანი და დღეს, ამ პრობლემის გადაწყვეტა კონტროლის გამკაცრებით, არ არის მოსაწონი და მუნიციპალიტეტს მუდმივად მოუწევს ახალ-ახალი შეზღუდვების შემოღება ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად. მისი თქმით, ეს პრობლემა მუნიციპალიტეტმა თავად გამოიწვია ახალი სააბონემენტო სისტემის შემოღებით და დღეს წამოჭრილი საკითხიც სწორედ ამ პრობლემის ნაწილია.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტში მონიტორინგი ყოველთვის ხორციელდებოდა, ამ მიმართულებით თანამშრომლების დამატება არ ხდება და შესაბამისად, ამ კუთხით არავითარი სიახლე არ არის წარმოდგენილი.

საბა ბუაძე დაეთანხმა ანა გოგოლაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, სოციალური აგენტებისთვის მგზავრობის ლიმიტის გაზრდასთან დაკავშირებით, რადგან ისინი არიან საჯარო სექტორის ის ნაწილი, რომელიც უნდა სარგებლობდეს შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით და არსებული ლიმიტი მათთვის საკმარისი არ იქნება. აქვე აღნიშნა, რომ იანვარში, სააგენტოს მიმართა შეკითხვით, არსებობს თუ არა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, საშუალოდ რამდენი ადამიანი სარგებლობს დღეში მხოლოდ ორი მგზავრობით, თუმცა პასუხი დღემდე არ მიუღია და მიმართა ვასილ აბულაძეს, გაეცნოს მის წერილს და გამოუგზავნოს პასუხი. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ კერძო სექტორში დასაქმებული პედაგოგები არ სარგებლობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათიანი ტარიფით და გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება მუნიციპალიტეტმა იმსჯელოს მათთვის ისეთივე სამგზავრო შეღავათის დაწესებაზე, რომლითაც სარგებლობენ საჯარო სექტორში დასაქმებული პედაგოგები, რადგან, ხშირ შემთხვევაში, კერძო სკოლებში და საჯარო სექტორში დასაქმებული პედაგოგების ანაზღაურებას შორის არ არის მნიშვნელოვანი განსხვავება.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ შეღავათების დაწესების დაგეგმარება ხდება ბიუჯეტის შემუშავებისას და შესაბამისად, აღნიშნული საკითხი მოითხოვს ბიუჯეტში ცვლილების განხორციელებას, თუმცა ამ საკითხზე სამომავლოდ მსჯელობა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია.

ლევან ჟორჟოლიანი დაეთანხმა ანა გოგოლაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ შესაძლებელია სტუდენტებისთვის განსაზღვრული სამგზავრო ლიმიტი არ იყოს საკმარისი, რადგან მართლაც ბევრი გადაადგილება უწყვეტ და მიმართა ვასილ აბულაძეს, რომ სააგენტომ ეს საკითხი განიხილოს უახლოეს მომავალში. რაც შეეხება კერძო სკოლების პედაგოგებისთვის შეღავათიანი მგზავრობით სარგებლობას, ეს საკითხი დასაფიქრებელია, რადგან ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელი იქნება კერძო ბალების აღმზრდელებიც.

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ თვეში 100 გატარება ძალიან ცოტაა და ამას პრაქტიკაშიც ვნახავთ. მისი თქმით, როდესაც კერძო სკოლის მასწავლებლებისთვის შეღავათის დაწესებაზე ვამბობთ, რომ ბიუჯეტში უნდა იყოს გათვალისწინებული, უნდა აღინიშნოს, რომ არც დღეს წარმოდგენილი სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლებისთვის შეღავათიანი ტარიფით მგზავრობის დაწესება არ არის ბიუჯეტში გათვალისწინებული და შესაბამისად, განმარტება ცოტა ბუნდოვანია. ასევე, უცნობი და ბუნდოვანია, სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლების რა კონტიგენტზე წესდება მგზავრობის შეღავათები. მისი თქმით, ძალიან დამთრგუნველია, როდესაც მეტროში ბარათის გატარებისას გაკვირდება სხვადასხვა უწყების ოთხი თანამშრომელი და განაცხადა, რომ ამ მეთოდით ეს საკითხი არ გადაიჭრება, საჭიროა ვნახოთ რაიმე სხვა მეთოდი.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ მონიტორინგი ყოველთვის ხორციელდებოდა, დღეს წარმოდგენილი ცვლილებები გამოწვეულია ყველა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვით. რაც შეეხება შეღავათიანი ტარიფით მგზავრობის რაოდენობის განსაზღვრას, აღნიშნული დაფუძნებულია შესაბამის კვლევებზე, ხოლო თუ საჭიროება იქნება, სააგენტო მზად არის განიხილოს ცვლილებები და წარუდგინოს საკრებულოს.

ბარბარა ჯიმიელი სულაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სამომავლოდ, პედაგოგებისთვის შეღავათის დაწესების განხილვისას, უმჯობესი ხომ არ იქნება არა მხოლოდ იმის გათვალისწინება, რომ ის არის მასწავლებელი, არამედ მისი შემოსავლის გათვალისწინება, რადგან, ხშირ შემთხვევაში, კერძო სკოლის მასწავლებლების ანაზღაურება არ არის საჯარო სკოლის პედაგოგების ანაზღაურებაზე მაღალი.

ანა კაკაბაძემ გაიზიარა კოლეგების მიერ სტუდენტებისთვის შეღავათიანი მგზავრობის ტარიფთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება და განაცხადა, რომ მისასალმებელია სააგენტოს წარმომადგენლის მხრიდან ამ საკითხის გადახედვასთან დაკავშირებით მზაობის დადასტურება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M<sub>1</sub> კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ეხება ტაქსში სიგარეტის მოწვევის აკრძალვას, ხოლო

სამართალდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მოხდება მძღოლისთვის საჯარიმო სანქციის დაწერა, სანებართვო პირობების დარღვევისთვის.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ ტაქსის მიკუთვნება საჯარო ტრანსპორტის კატეგორიისთვის არასწორია, რადგან ირღვევა საკუთრების უფლება. რაც შეეხება სიგარეტის მოწვევის უფლებას, მისი აზრით, ავტომობილის მფლობელი უნდა წყვეტდეს, რა და როგორ მოხდება მის მანქანაში და შემდეგ გადაწყდება ითანამშრომლებზე თუ არა ტაქსის მძღოლი და მგზავრი. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილ ცვლილებას არ ეთანხმება და მხარს არ დაუჭერს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა ერთხმად.

13. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში), 135-ე-135<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 135<sup>1</sup>-135<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით და ეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ანა გოგოლაძე დაინტერესდა, წარმოდგენილი ცვლილებების საფუძველზე მოხდება თუ არა ღამის საათებში ზონალურ პარკინგზე საფასურის გარეშე მდგომი ავტომობილების დაჯარიმება ვიდეოგადაღების კამერით. აქვე, აღნიშნა, რომ ამოღებულია მუხლი, რომლითაც პირს შეეძლო მიემართა სასამართლოსთვის, თუ ის არ ეთანხმებოდა ჯარიმას, წარმოდგენილი ცვლილებით, მას შეუძლია მიმართოს მხოლოდ შესაბამის ორგანოებს და დაინტერესდა აღნიშნული გაერთიანდა იურიდიულ ტერმინში თუ ამოვიდა სასამართლო სისტემისთვის მიმართვის უფლება.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სამართალდარღვევა მოხდება დილის საათებში თუ საღამოს საათებში, ნებისმიერ შემთხვევაში მოხდება დაჯარიმება. დღემდე, სააგენტოს არ ჰქონდა ჯარიმის გამოწერის უფლება, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებით, მას ენიჭება სანქციის დაწერის უფლებამოსილება. სასამართლოსთვის მიმართვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ არსებული რეგულაციით, პირს ჰქონდა ალტერნატიული შესაძლებლობა გამოწერილი ჯარიმა გაესაჩივრებინა სასამართლოში ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებით, სასამართლოს ვერ მიმართავს თუ მანამდე არ მიმართა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა ერთხმად.

14. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M<sub>2</sub> და M<sub>3</sub> კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M<sub>3</sub> კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M<sub>2</sub> კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, ექვსთვიანი ვადა იცვლება ერთი წლით და აქედან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილება ხორციელდება სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლებთან დაკავშირებით, ინფორმაციის მოწოდების კუთხით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M<sub>2</sub> კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ



აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო ორი პროექტით წარმოდგენილია ავტობუსების და მიკროავტობუსების ძველი ტარიფების გაუქმება იქიდან გამომდინარე, რომ შემოვიდა ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ახალი მიკროავტობუსები და ძველი მარშრუტები აღარ ფუნქციონირებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსმა ნუგზარ ჭონჭაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო პროექტი ეხება უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციას, რაც გამოწვეულია სამსახურის მუშაობის სპეციფიკიდან, კერძოდ, სამსახური ქალაქის მასშტაბით არსებულ მუნიციპალურ პარკებში, სკვერებსა და ბაღებში ამონტაჟებს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემას, მუნიციპალური ქონების დაცვის მიზნით. დღემდე სამსახურს ამ მიმართულებით არ ჰქონდა განყოფილება, ხოლო წარმოდგენილი

ცვლილებებით შეიქმნება ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც იმუშავებს ხსენებულ საკითხებზე და უფრო ეფექტურს გახდის სამსახურის საქმიანობას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა ერთხმად.

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსმა ნუგზარ ჭონქაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა ერთხმად.

21. „ქალაქ თბილისში, სოფელ ნასაგურში, იორის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.14.542.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 140 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1992 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა ერთხმად.

22. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 47 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23. „ქალაქ თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა N24-ში (საკადასტრო კოდი: (საკადასტრო კოდები: N01.18.03.068.007.01.534 და N01.18.03.068.007.01.535) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 70 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც ოჯახთან ერთად, 1993 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

24. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, ზემო პლატოს კორპუს N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.005.006.01.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 60 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

25. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV შესახვევის N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.31.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „დვრიტასთვის“, საერთო საკუთრებაში, 133 კვ.მ. ფართის გადაცემა. აღნიშნულ კორპუსში ოთხმოცდაჩვიდმეტ ოჯახს გადაცემული აქვს საცხოვრებელი ფართები, ხოლო, ამ ეტაპზე, წარმოდგენილია საერთო სარგებლობის სამზარეულოების და სველი წერტილების გადაცემა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

26. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, მაია წყნეთელის ქუჩა, „გ“ ზონა, N18-ში მდებარე 81.12 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.100.010.01.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და

განმარტა, რომ წარმოდგენილია 81 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1993 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

27. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N36ვ-ში მდებარე 80.30 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.09.035.001.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 80 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც ოჯახთან ერთად, 1992 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

28. „ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N67დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.06.002.018.01.044) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 24 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1994 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

29. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N7ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.003.01.040) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 38 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1999 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

30. „ქალაქ თბილისში, სოფელ წინუბანში, იალნოს ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.09.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 83 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 1997-98 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

31. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 63 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 2006-07 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

32. „ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N41-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.003.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 290 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი ოჯახისთვის, რომლებიც 2005 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

33. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N138-140/ხრესილის ქუჩა N2-ში მდებარე 41.30 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.12.12.018.059.01.01.029) და ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N138-140/ხრესილის ქუჩა N2-ში მდებარე 68.90 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.12.12.018.059.01.01.031) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ახალი გენ.გეგმით აიკრძალა კ2 კოეფიციენტის მატება, გარდამავალ პერიოდში

განხორციელებული იმ პროექტებიდან, სადაც მოხდა კ2-ის მატება, კომპანიებმა მუნიციპალიტეტს გადასცეს მომატებული კოეფიციენტის 10% ფართი. წარმოდგენილი ფართების რეალიზაცია ხდება იმ მიზნით, რომ მიღებული თანხით, უსახლკარო პირებისთვის, შექმნილი იქნას ბინები. იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტისთვის რთულია ამ ბინების გაყიდვა, იმ დეველოპერებთან, რომლებიც მუნიციპალიტეტს გადასცემენ ფართებს, გაფორმდა მემორანდუმები, რომლის საფუძველზეც აღნიშნული ფართების რეალიზაციას განხორციელებენ თავად, 3%-იანი დანამატით, სარგებლის მიღების მიზნით. ამ შემთხვევაში, წარმოდგენილია ცოტნე დადიანის ქუჩა N138-140-ში არსებული ორი ბინის მიყიდვა მოქალაქისთვის, ხოლო მიღებული თანხა გადაირიცხება უსახლკარო პირებისთვის ბინების შესყიდვის მიზნით არსებულ ფონდში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

